შპს „გზები“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

28 სექტემბერი

2022 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ გზები“-ის ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ გზები“-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში მოყვანილი გარემოებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ აქვს ჩატარებული მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების შეფასება მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით. კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაა 5,930 ათასი ლარი, ამათგან 1,750 ათასი ლარის ღირებულების არის მიწის ნაკვეთები. ამ გარემოებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა კომპანიის ძირითადი საშუალებების ღირებულების განსასაზღვრად საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები. ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება ძირითად საშუალებების 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა ინფორმაცია ასახულია ჯგუფის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორამაცია მოიცავს კომპანიის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.
მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობას;

- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „ საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი მიდგომის გამოყენება მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის" უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება.

ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი მმართველობით ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ოთარ ახობაძე

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ-ეგო“
თბილისი, საქართველო
28 სექტემბერი 2022 წ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა		
ძირითადი საშუალებები	7	5,929,967	4,283,974
არამატერიალური აქტივები		30,947	30,947
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		30,430	1,534,042
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		**5,991,345**	**5,848,963**
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	189,611	957,477
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9	3,275,552	2,553,384
მარაგები	10	469,502	2,044,906
გადახდილი ავანსები	11	408,554	143,370
საგადასახადო აქტივი		79,358	-
გაცემული სესხები		339,209	389,059
მიმდინარე აქტივების ჯამი		**4,761,786**	**6,088,196**
სულ აქტივები		**10,753,131**	**11,937,159**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		329,500	1,833,112
აკუმულირებული მოგება		3,542,885	5,830,914
სულ კაპიტალი	14	**3,872,385**	**7,664,026**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		254,025	-
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		**254,025**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალებულებები	12	4,486,288	2,332,124
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	850,984	250,754
ვალდებულებები თანამშრომლის წინაშე		1,056,943	1,035,053
საგადასახადო ვალდებულებები		129,560	500,081
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		102,946	155,121
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		**6,626,721**	**4,273,133**
სულ ვალდებულებები		**6,880,746**	**4,273,133**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**10,753,131**	**11,937,159**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 28 სექტემბერს.

ხელმომწერი პირი:

დირექტორი- ირაკლი აბაში

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31-დეკ-2021	31-დეკ-2020
	შენიშვნა		
ამონაგები	15	11,143,847	9,399,534
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	16	(7,863,341)	(3,638,466)
საერთო მოგება		**3,280,506**	**5,761,068**
სხვა შემოსავალი		35,910	82,784
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(5,516,199)	(4,909,106)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(2,199,783)**	**934,746**
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		192	(68,188)
ფინანსური ხარჯი	18	(88,438)	(92,654)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,288,029)	773,904
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		**(2,288,029)**	**773,904**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**(2,288,029)**	**773,904**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 28 სექტემბერს.

ხელმომწერი პირი:

დირექტორი- ირაკლი აბაშიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,277,587**	**5,057,010**	**7,334,597**
პერიოდის შედეგი		773,904	773,904
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(444,475)		(444,475)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,833,112**	**5,830,914**	**7,664,026**
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(1,503,612)		(1,503,612)
პერიოდის შედეგი		(2,288,029)	(2,288,029)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**329,500**	**3,542,885**	**3,872,385**

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	(2,288,029)	773,904
კორექტირებები:		
ფინანსური ხარჯები	88,438	-
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	192	-
ცვეთა და ამორტიზაცია	536,676	497,497
	(1,662,723)	**1,271,401**
ცვლილებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(802,120)	619,910
ცვლილება მარაგებში	1,399,052	136,132
სავაჭრო და სხვა ვალებულებებში	2,154,164	(522,146)
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	254,025	-
გადახდილი ავანსები	(185,232)	(19,253)
გაცემული სესხები	49,850	36,111
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(30,285)	-
საგადასახადო ვალდებულებებში	(449,879)	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	**726,851**	**250,754**
გადახდილი პროცენტები	(89,273)	
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**637,578**	**250,754**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/გასვლა	(440,646)	(52,455)
წილის შესყიდვა	(73,000)	(210,525)
კაპიტალის შემცირება	(1,503,612)	(444,475)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(2,017,258)**	**(707,455)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	650,000	
სასესხო ვალდებულების დაფარვა	(49,769)	(28,760)
ფინანსური იჯარა	-	(43,760)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**600,231**	**(72,520)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	**(779,449)**	**742,180**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	**11,583**	**-**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	**957,477**	**215,297**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს	**189,611**	**957,477**

1. **ანგარიშგების წარმდგენი საწარმო**

ა) ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს “გზები” (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენენ საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია (სარეგისტრაციო ნომერი: 245 425 393) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1996 წლის 18 მარტს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, ა. შანიძის ქ. I შესახვევი N 4.

კომპანიის ძირითად საქმიანობას გზების მშენებლობა წარმოადგენს. ის ჩართულია გზების და ავტობანების სამშენებლო პროექტებში. კომპანია ფლობს ლიცენზიას მინერალური რესურსების (ქვიშა და ხრესის) მოსაპოვებლად. აგრეთვე, კომპანია აწარმოებს ბეტონს და ასფალტს. კომპანიის საწარმოო ობიექტები განტავსებულია აჭარის რეგიონში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრე არის ფიზიკური პირი ირაკლი აბაშიძე პ/ნ 61001021235

2017 წლის 8 ნოემბერს კომპანიამ დააფუძნა შპს ბაგრატიონი-26, ს/ნ 445 519 804, ამ კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ა. შანიძის ქ. I შესახვევი N 4. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ბაგრატიონი 26-ის 100%-ის მფლობელი იყო კომპანია.

შპს კვალი ს/ნ 206 033 834-ის იურიდიული მისამართია თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ბ. ხმელინცკის N:48, კორპ 3 ბ, ბინა N32. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს კვალის-ის 25%-ის მფლობელი იყო კომპანია. აღნიშნულ კომპანიას 2021 წლის განმავლობაში ეკონომიკურ საქმიანობა არ გაუხორციელებია.

1. **მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. **სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (,,GEL”), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	2021	2020
1USD/GEL	3.0976	2.766
1EUR/GEL	3.5040	4.0233

3. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-ის შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

რეალური ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს რეალური ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. რეალური ღირებულება განსაზღვრულია შეფასების და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.
რეალური ღირებულება დაჯგუფებულია რეალური ღირებულების იერარქიაში სხვადასხვა დონეების მიხედვით იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).
- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია რეალური ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ რეალური ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

5. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ ჯგუფი ფლობს შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. კომპანია არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქიონირებადმა საწარმომ. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად, ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები და გაითვალისწინა საოპერაციო და საბაზრო ფაქტორები, მათ შორის კოვიდ-19-ის გავლენა, რისკები და შესაძლებლობები.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. სააღრიცხვო პოლიტიკა ჯგუფის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

კონსოლიდაციის საფუძველი
შვილობილი

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებული საწარმო. ჯგუფი აკონტროლებს კომპანიას თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე.

კონტროლის დაკარგვა

მას შემდეგ რაც კონტროლი დაიკარგება, ჯგუფი წყვეტს შვილობილის აქტივების და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას რომლებიც შვილობილს უკავშირდება. ნებისმიერი ნამეტი ან დეფიციტი რომელიც წარმოიშვება კონტროლის დაკარგვისას აღიარდება მოგება ან ზარალში. თუ ჯგუფი ინარჩუნებს რაიმე წილს ყოფილ შვილობილში, ასეთი წილი შეფასებულია რეალური ღირებულებით კონტროლის დაკარგვის თარიღის მდგომარეობით.

კონსოლიდაციისას ამოღებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ოპერაციებით ამოღებულია კონსოლიდირებული ფინანასური ანგარიშგების მომზადებისას.

ა. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

- ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ბ. უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომელებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

(გ) ძირითადი საშუალებები

ა. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების ანარიცხი. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და მოსწორების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. რომელიმე ზემოთ მითითებული ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის გასაყიდი ღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შესაბამის ვითარებაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ბ. შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები აისახება მოგება ან ზარალში გაწევისთანავე.

გ. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით შექმნილ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ზოგადად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივების თითოეული ნაწილისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სამშენებლო მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები	5 წელი
ტექნიკა	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	2 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

დ. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხებად და მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

1. **არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა**

კომპანია სესხებსა და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის იმ თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კომპანიისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური

აქტივების და ვალდებულებების გადაფარვა და წმინდა თანხებით წარდგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიას გააჩნია აღნიშნული გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და

ვალდებულების დაფარვა. კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული უფლება ურთიერთგადაფარვაზე, თუ ეს უფლება არ არის მომავალში მოსახდენ ფაქტზე დამოკიდებული და განხორციელებადია ჩვეულებრივი

საქმიანობის პირობებში და კომპანიის თუ ყველა ჩართული მხარის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დროს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნილების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფინანსური აქტივების ჯგუფებს: სავაჭრო მოთხოვნები როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 10 და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან როგორც წარდგენილია შენიშვნაში 9.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე, სამი ან ნაკლებთვიანი დაფარვის ვადით.

2. არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალებულებებს.

3. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

დ. გაუფასურება

1. არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, მათ შორის კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები, ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია:

- მოვალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურიზაცია ისეთი პირობებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში კომპანიისს მიერ არ იქნება განსაზღვრული;
- დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის არსებობა;

- კომპანიაში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებები;
- გადაუხდელობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსალოდნელია ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანიის სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხი და მოთხოვნა მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა სესხზე და მოთხოვნაზე, რომელზედაც კონკრეტული გაუფასურება ჯერ არ არის დადგენილი, ხორციელდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება იმ ნებისმიერი სახის ზარალის დასადგენად, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი.

ის სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, ფასდება ჯგუფურად გაუფასურებაზე რისკის საერთო მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურების ჯგუფური შეფასების დროს, კომპანია იყენებს საეჭვო ვალებთან დაკავშირებით წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას, მათი ამოღების დროსა და დანაკარგებთან დაკავშირებულ ალბათობებს. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრების მიხედვით, კერძოდ, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ რეალური წაგება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ რაოდენობაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივები, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. გაუფასურების აქტივის პროცენტის აღიარება გრძელდება განმუხტვის ფასდაკლების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირებას და ეს მოვლენა ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე აისახება შებრუნებული სახით.

1. **არაფინანსური აქტივები**

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგები) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან (CGU).

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

(3) საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელშიც მოიჯარე კომპანიას არ გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მთლიანი საიჯარო გადასახდელები ირიცხება წლის მოგებაზე ან ზარალზე წრფივი დარიცხვის მეთოდით, საიჯარო ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა შეუქცევადი პერიოდია, რომლისთვისაც მოიჯარემ გააფორმა აქტივის იჯარის ხელშეკრულება, ნებისმიერ სხვა პირობასთან ერთად, რომლითაც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის გაგრძელების ვალდებულება, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის ამოწურვისას არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამგვარი ფუნქციით

(ზ) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულიაკაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში მოგებაში ან ზარალში.

თ) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო უწყებები დღგ-ს გადახდას წმინდა საფუძველზე უშვებს, კონკრეტული შეზღუდვებით.

(ი) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და ის მოიცავს ნასყიდობის ღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(კ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსურ ხარჯად.

(მ) ამონაგები

კომპანია შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან და საქონლის რეალიზაციიდან. მისი პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით ახსნილია ქვემოთ:

სამშენებლო კონტრაქტები. როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდაა შესაძლებელი, შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპის მითითებით, ანუ ფიზიკური წილის დასრულების მიხედვით. საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები

გაითვალისწინება მაშინ, თუ მათი ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი და მისი მიღებაც საკმაოდ რეალურია.

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, საკონტრაქტო შემოსავალი აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ასეთად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში. როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად. როდესაც კონკრეტულ მომენტამდე გაწეული საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამი, აღიარებული ზარალის გამოკლებით აჭარბებს შუალედურ ანგარიშებს, სიჭარბეს კომპანია უჩვენებს როგორც საკონტრაქტო სამუშაოებიდან კლიენტებისგან მიღებულ თანხას. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, სადაც შუალედური ანგარიშები აჭარბებს ამ მომენტამდე გაწეულ საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამს, აღიარებული ზარალის გამოკლებით, სიჭარბეს კომპანია უჩვენებს, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებისათვის კლიენტებისთვის გადასახდელ თანხებს. სამუშაოს ჩატარებამდე მიღებული თანხები ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშში შედის როგორც ვალდებულება, როგორც მიღებული ავანსები. ჩატარებული და დარიცხული სამუშაო, რომელიც კლიენტის მიერ ჯერ არ ანაზღაურებულა, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშში შედის როგორც მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქცასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია; და
- ტრანზაქცასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

მომსახურება შემოსავალი მომსახურების გაწევიდან აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

(ნ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა და წარსულში მიწოდებული სერვისის შედეგად დაქირავებულის მხრიდან და ვალდებულებაც შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

(ო) მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვიის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვიითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით

6. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და

ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

(ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობებზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი უმეტესად სარგებლობის პროცესში გამოიყენება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელი აფასებს დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადას, აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივებზე კომპანიისთვის სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

ბ)უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტების სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგისა ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

(გ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობები გამოიყენება იმის განსასაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირ საშუალებები	სულ
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**1,749,958**	**827,434**	**1,268,968**	**61,202**	**3,130,644**	**7,038,206**
შემოსვლა			52,455		1,245,830	**1,298,285**
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**1,749,958**	**827,434**	**1,321,423**	**61,202**	**4,376,474**	**8,336,491**
შემოსვლა		-	58,399	12,023	843,793	**914,214**
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	**1,749,958**	**827,434**	**1,379,822**	**73,225**	**5,220,267**	**9,250,705**
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი		**122,420**	**579,899**	**39,376**	**1,567,495**	**2,309,190**
ცვეთის ხარჯი		35,251	145,623	4,365	312,258	**497,497**
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**157,671**	**725,522**	**43,741**	**1,879,753**	**2,806,687**
ცვეთის ხარჯი	-	10,864	127,859	5,897	369,432	**514,052**
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**168,535**	**853,381**	**49,638**	**2,249,185**	**3,320,739**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**1,749,958**	**705,014**	**689,069**	**21,826**	**1,563,149**	**4,729,016**
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	**1,749,958**	**669,763**	**595,901**	**17,461**	**2,496,721**	**5,529,804**
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	**1,749,958**	**658,899**	**526,441**	**23,587**	**2,971,082**	**5,929,967**

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნაღდი ფული სალაროში	111,525	72,684
ფული ბანკში	78,087	884,793
სულ	**189,611**	**957,477**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,215,623	2,518,174
სხვა მოთხოვნები	59,929	35,210
სულ	**3,275,552**	**2,553,384**

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

10. მარაგები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მზა პროდუქცია	84,634	300,740
მასალები/ნედლეული	223,080	377,563
სხვა მარაგები	161,789	120,773
დაუმთავრებელი მშენებლობა		1,245,830
სულ	**469,502**	**2,044,906**

საქმიანობიდან გამომდინარე ჯგუფი ფლობს გასაყიდად გამიზნულ საქონელს. ჯგუფის ბალანზე აღირებული მარაგების უდიდეს ნაწილს საქონელი შეადგენს. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით, რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

11. მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	408,554	143,370
სულ	**408,554**	**143,370**

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,486,288	2,332,124
სულ	**4,486,288**	**2,332,124**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

13. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სს ტერა ბანკი	850,984	250,754
სულ	**850,984**	**250,754**

კომპანიას აქვს აღებული დოლარში დენომინირებული საბანკო სესხები კომერციული ბანკიდან თავისი ოპერაციების დასაფინანსებლად.

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში;

დივიდენდი

კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადების გაკვეული პერიოდულობით;

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 329,500 ლარია. 2021 წლის განმავლობაში არ მოხდა დივიდენდის განაწილება.

15. ამონაგები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	10,725,338	9,248,821
შემოსავალი რეალიზაციიდან	418,509	150,713
სულ	**11,143,847**	**9,399,534**

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გაყიდული / შეძენილი საქონლის ხარჯები	4,811,303	3,638,466
ტრანსპორტით და სპეცტექნიკით შესრულებული სამუშაოს მომსახურეობა	2,592,037	0
სხვა ხარჯი	460,000	0
სულ	**7,863,341**	**3,638,466**

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
შრომის ანაზღაურება	2,732,456	2,482,127
საწვავის ხარჯები	914,026	530,567
ცვეთა და ამორტიზაცია	536,676	497,497
ავტოსატრანსპორტო საშუალებატა ხარჯი	631,710	254,139
კომუნალური ხარჯები	5,851	6,150
ტექნიკის დაზღვევის ხარჯი	182,681	73,525
მომსახურების ხარჯები	110,750	918,108
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	92,057	1,000
საიჯარო ქირა	77,203	25,142
საგადასახადო,სამეურნეო, საბანკო ხარჯი	44,668	89,827
საოფისე ხარჯები	1,743	913
მივლინების ხარჯები	5,560	0
კომუნიკაციის ხარჯები	8,005	3,998
სხვა ხარჯები	172,813	26,113
სულ	**5,516,199**	**4,909,106**

18. ფინანსური ხარჯი

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სხვა ფინანსური შემოსავლები	41,288	-
არასაოპერაციო შემოსავალი	24,773	-
საპროცენტო ხარჯი	(89,273)	(49,922)
სხვა ფინანსური ხარჯი	(65,226)	(42,732)
სულ	**(88,438)**	**(92,654)**

19. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

20. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ ხორციელდებოდა სასამართლო დავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტთან იჯარით აღებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის თაობაზე კერძოს ხელშეკრულების პირობების არასათანადო შესრულებაზე. მხარეებს შორის მოხდა გარიგება და 2021 წელს დავა შეწყვეტილია.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ ჯგუფის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ჯგუფის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ ჯგუფი არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

21. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებს უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს)როდესაც კომპანიის შემოსავალი და ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორისცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან .

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული

თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციაური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის სამარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) თანახმად, მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს ან ერთერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით სხვა მხარეზე, ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

მოკლევადიანი ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მაკონტროლებელი მხარე	-	-
სხვა დაკავშირეული მხარეები	260,176	53,752
სულ	**260,176**	**53,752**

წამყვანი ხელმძღვანელობისთვის (Key Management) ხელფასის სახით გადახდილი თანხები	**31-დეკ- 2021**	**31-დეკ- 2020**
გადახდილი ხელფასები	845,038	168,710
ჯამი	**845,038**	**168,710**

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს . საანაგრიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ გზების"-ის ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება
ჩვენ ჩავატარეთ შპს „ გზები"-ს (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში მოყვანილი გარემოებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი
კომპანიას არ აქვს ჩატარებული მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების შეფასება მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით. კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაა 5,930 ათასი ლარი, ამათგან 1,750 ათასი ლარის ღირებულების არის მიწის ნაკვეთები. ამ გარემოებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა კომპანიის ძირითადი საშუალებების ღირებულების განსასაზღვრად საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები. ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება ძირითად საშუალებების 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ „ჯგუფისგან" დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა ინფორმაცია ასახულია ჯგუფის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში
სხვა ინფორამაცია მოიცავს კომპანიის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ

ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.
მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობას;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „ საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი მიდგომის გამოყენება მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება.

ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი მმართველობით ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ოთარ ახობაძე

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ-ეგო“
თბილისი, საქართველო
28 სექტემბერი

მმართველობის ანგარიშგება

2022

08/2022 შპს გზები

მართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „გზები“ -ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს „გზები“-ს გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „გზები“ შეიქმნა 1996 წელს.
2020-2021 წლებში კომპანიის დამფუძნებელი (100 %) და დირექტორია ირაკლი აბაშიძე, რომელიც დღემდე წარმოადგენს კომპანიის 100 %-იან დამფუძნებელს და დირექტორს.

რას ვსაქმინობთ

შპს „გზები“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა. ამასთან კომპანია აწარმოებს ასფალტს და ახდენს მის რეალიზაციას.
კომპანია მდებარეობს ქ. ბათუმში აკაკი შანიძის I შესახვევი #4.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი ირაკლი აბაშიძე.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

ირაკლი აბაშიძე შპს „გზები“-ს დირექტორად დაინიშნა რეგისტრაციის დღიდან.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „გზები“ დასაქმებულია დაახლოებით 150-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „გზების“ მიმართ არ აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „გზები“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს „გზები“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე

უფლებამოსილი პირი - დირექტორი. ლ.აბაშიძე

შპს „გზები“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა		
ძირითადი საშუალებები	7	5,929,967	4,283,974
არამატერიალური აქტივები		30,947	30,947
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		30,430	1,534,042
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		**5,991,345**	**5,848,963**
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	189,611	957,477
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9	3,275,552	2,553,384
მარაგები	10	469,502	2,044,906
გადახდილი ავანსები	11	408,554	143,370
საგადასახადო აქტივი		79,358	-
გაცემული სესხები		339,209	389,059
მიმდინარე აქტივების ჯამი		**4,761,786**	**6,088,196**
სულ აქტივები		**10,753,131**	**11,937,159**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		329,500	1,833,112
აკუმულირებული მოგება		3,542,885	5,830,914
სულ კაპიტალი	14	**3,872,385**	**7,664,026**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		254,025	-
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		**254,025**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალებულებები	12	4,486,288	2,332,124
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	850,984	250,754
ვალდებულებები თანამშრომლის წინაშე		1,056,943	1,035,053
საგადასახადო ვალდებულებები		129,560	500,081
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		102,946	155,121
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		**6,626,721**	**4,273,133**
სულ ვალდებულებები		**6,880,746**	**4,273,133**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**10,753,131**	**11,937,159**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 28 ნოემბერს.

ხელმომწერი პირი:

დირექტორი- ირაკლი აბაშიძე

შპს „გზები“

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ამონაგები	15	11,143,847	9,399,534
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	16	(7,863,341)	(3,638,466)
საერთო მოგება		**3,280,506**	**5,761,068**
სხვა შემოსავალი		35,910	82,784
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(5,516,199)	(4,909,106)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(2,199,783)**	**934,746**
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		192	(68,188)
ფინანსური ხარჯი	18	(88,438)	(92,654)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,288,029)	773,904
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		**(2,288,029)**	**773,904**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**(2,288,029)**	**773,904**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 28 სექტემბერს.

ხელმომწერი პირი:

დირექტორი- ირაკლი აბაშიძე